

ბანბემა ღირსისა მამისა ჩუენისა სერგი რადონეჟელსა

ილუმენისა და

ალმაშენებელისა სამებისა ლავრისა
თუესა სექტემბრის 25-სა (8 ოქტომბ.)

დიდ მწუხრსა ზედა

ვჰგალობთ ნეტარ-არს კაცსა, I აღსავალსა.

უფალო ღაღად-ვყავსა ზედა დასდებელი,
მუხლი 8. კმა 5.

ღირსისა სერგისა.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერგი, ანგელოზთა თანამზრახუალო და თანამყოფო და თანაზიარო წინააღმართმეტყუელთა, წმიდათა მოციქულთა და მოწამეთა და თანამკუდრო ნათელსა წარუალსა, რომელი ჰნათობ ბრწყინვალეებითა საღმრთოთა, რამეთუ წინაშე მისსა ჰსდგა განბრწყინებული მადლითა კადნიერად და ყოვლადვე ზედავ მისსა მას დიდებასა და მარადის იშუებ მისთა მით სიკეთითა, ქრისტესა ევედრე, ქრისტესს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშულობად და დიდი წყალობად.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერგი, ვარსკულავო უდაბნოდასო, ბრწყინვალეპაო საღმრთოდასა სიყუარულისაო და განმანათლებელო მონაზონთაო, სუეტო შეურყეველო მოთმინებისაო, სიმტკიცეო და ძელო ეკლესიისაო, ლამაზო ყოვლადბრწყინვალეო და მნათობო ყოვლისა სოფლისაო, სათნოებათა საუნჯეო, რომელმან ქალაქ-ჰქმენ უქმი უდაბნოდა და ვითარცა სამოთხს ესე გამოაჩინე, ქრისტესა ევედრე, ქრისტესს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშულობად და დიდი წყალობად.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერგი, სიქადელო მონაზონთაო და სიმტკიცეო მართლისა სარწმუნოებისაო, სამებისა წმიდისა გამორჩეულო მსახურო, მოდასეო ანგელოზთაო, ქუეყანით ზეცად ამაღლებულო მონაზონთა წინამძღუარობითა, სასუფეველსა დამკუდრებელო, ანგელოზებრივ გალობითა ზეცისა მოქალაქეო, წმიდათა თანა გურგუნოსნებითა ნათელსა შინა ღმრთისა ზედვითა განჰბრწყინებულო და წმიდითა ლოცვითა შენითა მეოხო ყოველთა პატივისმცემელთა შენთაო, ქრისტესა ევედრე, ქრისტესს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშულობად და დიდი წყალობად.

ღმერთშემოსილო მამაო, ნეტარო სერგი, ანგელოზთა თანა მსახურო, უფსკრულო გულისკმისყოფისაო, მხილველო გამოუთქმელთაო, მამაო მამათაო, თავო მონაზონთაო და წინამძღუარო განშორებულთაო, რომელი წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა იხარებ მრავლითა ბრწყინვალეებითა განათლებული და შემწე ხარ მევედრებელთა შენთათჳს, ქრისტესა ევედრე, ქრისტესს მიმართ მეოხ-გუეყავ, გარდამოვლინებად ეკლესიათა ერთობად, მშულობად და დიდი წყალობად.

სხუად დასდებელი კმა 2

ეჰა გურგუნო

ვითარიმე ქებისა გურგუნი შეუთხზნათ ქრისტესს ეკლესიისა სიმტკიცესა და ყოველთა განმამბრწყინებელსა სწავლითა, შემწესა და მოძღუარსა კეთილსახურთა მეფეთა და მთავართასა და შუამდგომელსა მათსა წინაშე ღმრთისა, და განმამძღიერებელსა და მაკურთხეველსა კეთილმორწმუნისა მკედრობისასა, ყოვლადქებულსა სერგის, რომლისა მიერ ურიცხუნი ლაშქარნი მტერთანი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობად.

2-გზის

ვითართა ქებისა საგალობელითა უგალობდეთ მსგავსად ღმრთივბრწყინვალისა ვარსკულავისა უდაბნოსა შინა დამკუდრებითა განბრწყინებულსა, და ნერგსა სამოთხისასა, ნაყოფისა კეთილისა გამომდებელსა, დიდსა შემწესა და მოძღუარსა, ყოველთა უკეთურთა და უდებთა მარცხუენელსა, რომლისათჳსცა აღძრვანი მათნი ქრისტემან დაამხუნა, რომელსა აქუს დიდი წყალობად.

ვითართა ქებისა გალობითა უგალობდეთ ეკლესიისა შემამკობელსა და მწყემსსა და მოძღუარსა მონაზონთასა, რომელი მსგავსად მზისა გამოუჩნდა რუსეთისა ქუეყანასა და განსწავლიდა ღმრთისა და მამულისა სიყუარულითა, რომლისათჳსცა მისსა მიმართ დაგუძს სასოებად ჩუენი, რაათა ერთობითა სარწმუნოებისადათა და სიყუარულითა აღვიარებდეთ,

ვითარცა წინამძღვარსა და სიმტკიცესა ყოველთა მართლმადიდებელთასა, რომელსა აქუს დიდი წყალობაჲ.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

აწ განსცხრებოდეთ მონაზონებისა მოყუარენი, და ქებითა გალობისაჲთა გუგალობდეთ და შევასხმიდეთ მღვდელთა სიქადულსა და რუსეთისა დიდებასა, წყაროსა საკურველებათასა და მორწმუნეთა დიდსა მეოხსა და შუამდგომელსა: გიხაროდენ, სასანთლეო ყოვლადბრწყინვალეო, რომელმან კიდენი რუსეთისანი საკურველებითა განანათლენ; გიხაროდენ ჭირვეულთა საღმრთოო სიხარულო და განსაცდელთა შინა მყოფთა მკურვალეო შუამდგომელო, ღირსო და საკურველთომქმელო მამაო სერგი, დაუცხრომელად ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რომელნი სარწმუნოებითა და სიყუარულით პატივს-ვსცემთ მარადის სახარულევანსა და ყოვლადსანატრელსა მიცუალებასა შენსა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ვინ არა გნატრიდეს შენ ყოვლადწმიდაო ქალწულო, ვინ არა უგალობდეს უხრწნელსა შობასა შენსა, რამეთუ რომელი იგი უფამოდ მამისაგან გამობრწყინდა, ძმ მხოლოდშობილი, იგივე შენგან უბიწოჲსა გამოვიდა გამოუთქმელად კორცშესხმული, ღმერთი იყო ბუნებით და ჩუენთვის კაც-იქმნა წყალობით. არა ორებად პირთასა განიკუეთა, არამედ ორითა ბუნებითა შეურევნელად საცნაურ-იქმნა. მას ევედრე, პატიოსანო და ყოვლადსანატრელო, ცხორებისათვის სულთა ჩუენთასა.

**შესვლად. წარდგომა ღღისა
საწინაწარმეტყველონი; საკითხავი ღღრისისა.**

1. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალთა სულნი ხელთა შინა ღმრთისათა...)
 2. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი. (მართალნი საუკუნოდ ცხოვნდეს. და უფლისა მიერ...)
- წერილ-არს, მარტის 9-ს.
3. სიბრძნისაგან სოლომონისა საკითხავი (მართალი თუ აღესრულოს განსუენებასა შინა...)
- წერილ-არს მაისის 7-ს.

**ლიტსა ზედა დასდებელი ტაძრისა,
ესრეთ ღღრისისა სერგისა. თუთ-ხმოვანი. კმაჲ 2**

სულიერსა ამას კრებასა ყოვლად საგალობელსა, სულისა მიერ წმიდისა მოწოდებულნი, წადიერებითა შემოკრებულნი ერნი, ვგალობდეთ და ვიხარებდეთ ღღრსად, საკსენებელსა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა, მოლუაწისა სერგისსა.

ქუეყანასა ზედა ანგელოზო და ცათა შინა კაცო ღმრთისაო, სოფლისა კეთილად განმამშვენებელო და სიტკბოებითა სახიერო, მამაო სერგი, გაქებთ შენ, რომელი წინასწარ გიცნა შენ ნებისა მისისა გულსმოდგინე აღმსრულებლად ღმერთმან, და დედის წიაღსა შინა ყოფნისასა, შენ მიერ სამგზისი შეძახილით ამცნო ყოველსა ქუეყანასა, რამეთუ იქნებოდი ჭეშმარიტი მსახური სამებისა.

კურთხევითა ღმერთშემოსილისა ბერისაჲთა გულისკმის-ყოფისა ნიჭნი უხუად მიიღე ღმრთისმოყუარემან ყრმამან და ცნობად ძალსა წმიდათა წერილთაჲსა მეყუსეულად განიბრძუნე, ხოლო მოლუაწებითა ნათლითა მადლი გონების გაკსნისაჲ და ყრმათა გულისკმისყოფისაჲ, ვითარცა სასყიდელი, ნიჭად მიიღე, მამაო სერგი, და ყოველთა წადიერებითა მთხოველთა და გულსმოდგინებითა მვედრებელთა უხუად მონიჭებ.

დაუტევე, წმიდაო, სოფელი და აღიღე ჯუარი, რომლისა მიერ მოქადულ-იყავ შენ, სამ-გზის სანატრელო მამაო სერგი, და წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა და წინაღწარ უწყებითა ღმრთისაჲთა წარმართენ სლვანი შენი სანახებსა რადონეჟისასა და აღმართენ უდაბნოსა შინა მონასტერი და ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა, საცხოვნებლად სულთა და საყუდებლად მრავალთა, ხოლო მას შინა შეკრებულნი ძმანი სიმდაბლითა თუსითა მიიწინეს საზომსა დიდსა, და განასხმიდენ სულთა უკეთურთა და განჰკურნებდენ ყოველთა სნეულთა და კეთილქებისა გალობითა გიგალობდენ, ვითარცა მწყემსსა დიდსა და ქადაგსა სარწმუნოებისასა.

გამოსჩნდი, მამაო სერგი, მთავრად მონაზონთა და ქალაქყოფელ უქმთა უდაბნოთა და ჰკურნებ უძღურებისა ჩუენისა ვნებასა სარწმუნოებით მგალობელთა შენთასა: გიხაროდენ, ჩრდილოეთისა ვარსკულავო ყოვლადბრწყინვალეო, და მონაზონთა განმანათლებელო ლამპარო და მწყემსო, გიხაროდენ, კეთილმოქმედებითა მმარხველთა სიქადულო და ყოვლისა სოფლისა სახარულევანო ბრწყინვალეზო, მეოხ-გუეყავ მგალობელთა შენთა.

სამღუდელოთა სამოსელითა შემკობილმან ღმრთივმშუენიერად ჰქადაგე შენ სახარებაჲ სასუფეველისაჲ და რუსეთის წმიდაჲ ეკლესიაჲ განამდიდრენ ღუაწლითა საღმრთოთაჲ,

რომლითა აწ განათლებულნი გადიდებთ კაცსა ზეცისასა და ქუეყანისა ანგელოზსა, სოფლისა სამკაულსა და მოლუაწეთა თუალსა, რომელმან განამრავლენ სამწყსოჲ ქრისტესნი და სიმართლითა და სიწმიდით წინამძღუარ ექმენ მოლუაწეთა, და მეოხ-ხარ ღმრთისა მიმართ სულთა ჩუენთათვის.

საკსენებელი შენი უკუნისამდე ჰგიეს, ღირსო მამაო სერგი, და სიმშუღს გულისა შენისაჲ, მსახურო ღმრთისა მადლისაო, ნეტარო, დაღაცათუ მიიცუალე ჩუენგან, მწყემსო კეთილო, არამედ არა განგუეშორე ჩუენ კეთილითა სიყუარულითა შეერთებული, ღმერთსა და თანა მოქალაქე ანგელოზთა ცათა შინა, რომელთა თანა ევედრე შეწყალებად სულთა ჩუენთა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დაღაცათუ აღმაღლდი კორცთაგან ღმრთისა სასურველისა შენისა, არამედ არაჲვე დაუტევენ ობლად მოწაფენი და მოსურნენი შენნი, რამეთუ მოჰმადლე ყოვლად ქებული ნაწილნი შენნი საღმრთონი ეკლესიასა ნათლად და გურგუნად მადლთა და თაყუანისვსცემთ მათ, რომელნი სიგრძესა ჟამთასა დაკრძალულ იყუნეს ლავრასა შენსა, გარნა გამოაცხადნე საკურველითა ჩუენებითა მაოტებელად სულთა ბოროტთა, რომელთა აღმოყუანებასა წლითი-წლად ვდღე-სასწაულობთ და გვევდრებით: ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ წინაშე ყოვლადმოწყალისა მეუფისა, მამობრევსა მადლსა და შეწევნასა შენსა მარადის შევრდომილნი მოგუკსენენ წინაშე მისა და ერი ჩუენი განსაცდელთაგან და ჭირთაგან შეცული იქსენ ოხითა შენითა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

გიხაროდენ, ქალწულო, ღრუბელო და ეტლო სიტყვსაო, გიხაროდენ, უზესთაეს გონებისა და გარეგან საზღუარისა, წმიდაო ღმრთისა საყოფელო, გიხაროდენ, უქორწინებელო სულითა ზესთა ღმერთთასა მიდგომილო, გიხაროდენ, თუნიერ თესლისა მშობელო, და თუნიერ ხრწნილებისა მაწოვნებელო, გიხაროდენ, მარადის ქალწულო, კურთხეულო.

სტიქარონსა ზედა დასდებელი. კმაჲ 8

გაქუნდა ცხორებაჲ მაღალი სიყრმითგან და წამებითა წმიდათა წერილთათა მტკიცე ქმნილი, მამაო, სარწმუნოებაჲ ჭეშმარიტი და გული მწყალობელი, სიმდაბლე და კრძალულებაჲ, თვალთა ყოვლითურთ გონიერად მხედველი, მონაზონთა კანონო და სიქადულო, სამ-გზის სანატრელო, მამაო სერგი!

მუხლი. პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

სოფლისა ამის აღძრული დელვაჲ დააყუდე სიწმიდითა და უდაბნოჲ იგი მკეცთა სადგური და ეშმაკთა საყოფელო, შესცვალე შენ საყოფელად კაცთა და აღუშენე მათ ტაძარი დიდებული სადიდებელად ყოვლად წმიდისა სამებისა, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, რომლისა წინაშე მეოხებად ნუ დასცხრები მვედრებელთა შენთათვს.

მუხლი. ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად.

შეგამკო ღმერთმან, ნათლითა სასწაულთაჲთა და მადლთა საღმრთოთა ბრწყინვალეებითა, სამ-გზის სანატრელო სერგი, და აღავსო სული შენი სიბრძნითა, და ვითარცა წყაროჲ ცხოველი და თუალი დაუწყუდელი აღმოაცენებ კურნებასა ქრისტესს სამწყსოსაჲთა და განაბრძნობ შენდამი მოლტოლულთა სწავლისმოყუარეთა ყრმათა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ღირსო მამაო, არა ეც ძილი თუალთა შენთა, და რული წამთა შენთა, ვიდრემდის სული შენი და კორცი ვნებათაგან განათავისუფლენ, და შენ განგემზადა სულისა სამკურდრებელი, მოვიდა ქრისტე მამისა თანა სავანე-ყო შენ შორის, და თანა არსისა სამებისა სათნო-იქმენ, ღმერთშემოსილო სერგი, ევედრე სულთა ჩუენთათვს.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უსძლოო ქალწულო, რომელმან ღმერთი მუცლად-ილე გამოუთქმელად, დედაო ღმრთისა მადლისაო, ვედრებაჲ მონათა შენთაჲ შეიწირე, ყოვლადუბიწოო, რომელი მისცემ ყოველთა შენდობასა ცოდვათასა, ჩუენიცა ვედრებაჲ შეიწირე და გუთხოვე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

ტროპარი, კმაჲ 4

სათნობითა ილუაწე, ვითარცა ქრისტესს მკედარმან კეთილადმძღემან და შეურაცხ-ყავ ყოველივე ამაოებაჲ სოფლისაჲ, არამედ ლოცვითა და მღუძარებითა სახე ექმენ მოწაფეთა შენთა, და გამოსჩნდი კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, აწ გვევდრებით, ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა, შეუძრველად დაიცევ ყოველი მართლმადიდებელი ერი, ღირსო მამაო სერგი, მოხარული ქსენებასა შენსა განათლებულსა.

ტროპარი, კმა 1

უდაბნოსა მოქალაქედ და კორცითა ანგელოზად და სასწაულთმოქმედად გამოსჩნდი, ღირსო და საკურველთმოქმედო მამაო სერგი, მარხვისა, მღუძარებსა და ლოცვისა მადლი ზეცით მიიღე და ჰკურნებ უძღურთა სენთა და სულთა, რომელნი სარწმუნოებით შენდა მოილტვან, დიდებაჲ, რომელმან მოგცა შენ ძალი, დიდებაჲ, რომელმან გვრგვინოსან გყო შენ, დიდებაჲ, რომელი იქმს შენ მიერ ყოველთა ზედა სასწაულთა.

ცისკრად. ღმერთი უფალსა ზედა

ტროპარი ღირსისა. დიდებაჲ... იგივე აწდა...

რომელი საუკუნითგან დაფარულ-იყო, და ანგელოზთაგან უცნაურ საიდუმლო, ღმრთისმშობელო, შენ მიერ კაცთა გამოეცხადა, ღმერთი შეურევნელად შენგან განკორციელდა, ჯუარცმაჲ ნებსით თავს იღუა, რომლისათვისცა აღადგინა პირველდაძინებულნი, და იქსნა მან სიკუდილისაგან სულნი ჩუენნი.

შემდგომად I ფსალმუნებისა, წარდგომა. კმა 1

ცხოვრებაჲ კეთილმსახურებით ქუეყანასა ზედა აღასრულე, და გამოსჩნდი კანონად მონაზონთა და ბრწყინვალე მნათობად ყოვლისა სოფლისა, ღმერთშემოსილო მამაო სერგი, და განანათლებ შენდამი მსწრაფლ მოლტოლვილთა, წმიდაო, აწცა გამოაბრწყინე გულსა ჩუენსა ნათელი ჭეშმარიტი და მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად. **2-გზის**

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

ჩუენებათა მიერ ზეგარდამომა აღმოგვბრწყინე სამარხოთ საუნჯე პატიოსანი – წმიდანი ნაწილნი შენნი, სიმდიდრე უსასყიდლო და უღელგნელი და ოქრო ღმრთიებრწყინვალე და სინარულითა საღმრთოთა აღავსე ქუეყანაჲ რუსეთისა და ყოველი მართლმადიდებელი ერი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

განეცხადების საიდუმლო საუკუნითგან დაფარული მთავარანგელოზს, მითხრობად ძრწოლით ქალწულისა მიმართ, ხოლო იგი ახარებს კურთხეულსა დედათა შორის, რომლისათანა ვკმობდეთ: გინაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენ თანა.

შემდგომად II ფსალმუნებისა, წარდგომა. კმა 4

ნათლითა ჰბრწყინავ შენ მიუახლებელითა, და ვითარცა ვარსკულავი გამობრწყინდი უდაბნოსა შინა რადონეჟისასა და განამრავლენ სამწყსო ქრისტესი, ღირსო მამაო, ხოლო ქსენებისა შენისა აღმასრულებელთა ქსნაჲ გვთხოვე შეცოდებათა, ვითარცა წინაშე ღმრთისა მდგომარემან.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა

იხილა მხედველმან გონებათამან ღმერთმან წინაღწარვე სიწმიდს სულისა შენისაჲ, ამისთვისცა ნათელ-გარდაფენილ-ყო გონებაჲ შენი და აღგავსო სიბრძნითა მით საღმრთოთა და მეტყველებაჲ დაფარულთა საიდუმლოთაჲ მოგანიჭა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოველთა შემოქმედი ღმერთი და დამბადებელი, ყოვლადუბიწო, წმიდაო, საღმრთოსა სულისა მიერ მუცლად იღე და უხრწნელად ჰმევე, რომლისათვისცა გადიდებთ შენ და გიგალობთ, ქალწულო, ვითარცა ყოველთა მეუფისა პალატსა და სოფლისა შემწესა.

შემდგომად სადიდებელისა წარდგომა. კმა 8

მსგავსად იოვანე ნათლისმცემელისა უდაბნო დაიმკვდრე, ღირსო, და უპოვარებითა სცხოვნებოდი, რამეთუ ყოვლადვე არა გაქუნდა, ნეტარო, ხორცთა საზრდელი, არამედ იზრდებოდი სულისა მიერ წმიდისა, ვინაჲცა ბაძვად შენდა აღადგინენ სულნი ურიცხუნი და შემოკრიბენ სადიდებელად ღმრთისა და სამადლობელად სიმკნეთა შენთა. რადონეჟისა უდაბნოსა დიდებო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, რათა ცოდვათა შენლობაჲ მოგუანიჭოს, რომელნი სურვილით ვლდესასწაულობთ ქსენებასა შენსა.

დიდებაჲ მამასა და ძისა და წმიდასა სულსა,

კეთილ-მონაო სახიერო და სარწმუნო, კეთილო მუშაკო ქრისტესს ვენახისაო, შენ სიმკნითა და ახოვნად სიმძიმს დღისაჲ იტვრთე და მოცემული ტალანტი აღაორძინე, რომლისათვისცა განგეკუნეს შენ ბჭენი ზეცისანი, ღირსო, და შეხუედ სინარულსა უფლისა შენისა სახიერისასა, ხოლო აწ მეოხ-გუეყავ მაქებელთა შენთა დაუცხრომელად, მამაო სერგი, რათა ჩუენცა აღძრულნი საღმრთოთა სურვილითა, დაუღუმებელად გნატრიდეთ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თანა დაუსაბამო სიტყუაჲ მამისაჲ, შენგან მიიღებს დასაბამსა ბუნებისა ჩუენისასა, ღმრთისმშობელო, და უჟამო შემოვალს ჟამსა შინა და სიტყუაჲ განზრქებოდის, ხოლო ძმ

ღმრთისად ძედ შენდა იწოდების. ეჰა, მიუწვთომელი ესე საიდუმლოა, იესუ ქრისტე გუმინ და დღეს, და იგი თავადი არს უკუნისამდე.

აღსავალი, ანტიფონი 1. კმაა 4

სიყრმით ჩემითგან ფრად მბრძვანან მე არაწმიდანი ვნებანი, ამისთვის გევედრები: შემწე-მეყავ და მიქსენ სახიერ.

რომელთა გბულთ სიონი, სირცხულეულ-იქმნენით უფლისა მიერ, და ვითარცა განკმული თივაა შეგჭამნესთ გენიამან.

დიდება მამასა და ძისა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სულისა მიერ წმიდისა ყოველი სული ცკოველ-იქმნების და სიწმიდით ამაღლების და განპბრწყინდების სამებისა მიერ ერთ-არსებისა, ღმრთივშუენიერად და საიდუმლოდ.

წარდგომა, კმაა 7

პატროსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

მუხლი. რაა მივაგო უფალსა ყოვლისავეთს, რომელი ესე მომაგო მე.

ყოველი სული... სახარება ლუკასი, თავი 6. მუხლი 17. (მას ჟამსა შინა, დასდგა იესუ...) დასასრული მუხლი 23. (მრავალ არს ცათა შინა...)

შემდგომად 50-ე ფსალმუნისა დასდებელი.

თუთ-კმოვანი. კმაა 6.

ყოველსა ქუეყანასა განხდა კმაა წარმართებისა შენისა, ღმრთივგანბრძობილო მამაო, ამისთვის ზეცათა შინა ჰპოვე სასყიდელი შრომათა შენთა, და ეშმაკთა გუნდი წარსწყმიდე და ანგელოზთა წესსა მიიწიე, რომელთა უბიწოათა ცხორებითა სწორ-იქმენ, ღირსო სერგი, კანნიერებაა გაქუს წინაშე ღმრთისა, მშულობაა ითხოვე სულთა ჩუენთათს.

კანონი ღმრთისმყოფლისა. მუხლი 6

სექტემბრის 28-ს იდიე

კანონი ღირსისა, მუხლი 8. კმაა 1

გალობა 1, უგალობდითსა

ძლისპირი: სასწაულითა იქსნა ერი უფალმან და ზღუაა მღელვარძ სიტყუთ განაკმო პირველ, და დღეს უხრწნელად იშუა ქალწულისაგან და წარმიძლუა ჩუენ ზეცად ბუნებით სწორი მამისა თანა, რომელსა უგალობდეთ.

სულიერსა ამას კრებასა ყოვლად საგალობელსა, სულისა მიერ წმიდისა მოწოდებულნი, წადიერებითა შემოკრებულნი ერნი, კვალობდეთ და ვიხარებდეთ ღირსად, საქსენებელსა ღმრთშემოსილისა მამისა ჩუენისა, მოღუაწისა სერგისსა.

არა ჯერ-იყო, ღირსო მამაო სერგი, მოსავთა შენთაგან დუმილით თანა-წარსვლაა მიცუალებისა შენისა ქსენებასა, ამისთვის იხარებენ დღეს მონაზონთა გუნდნი და განსცხრებიან მამათა დასნი დღესასწაულსა შენსა და ქადაგებენ კეთილთა შენთა მადლსა და შესწირვენ უფალსა ქებასა.

აღახუენ თუალნი სულისა ჩუენისანი განცდად ბრწყინვალებასა მადლთა შენთასა, ღირსო მამაო, ზოლო ორღანოა ენისა და აღმარ დიდებად შენდა, რამეთუ ადიდა მიცუალებაა შენი დღესასწაულსა თუსთა მეგობართადასა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან, რომელთა თანა გადიდებთ, მეოხ-გუეყავ ჩუენ.

დასაბამი სიბრძნისაა მკურვალითა ლოცვითა მოიხუჭე, დასაბამსავე სიყრმისა შენისასა, ღირსო მამაო, და შიშსა უფლისასა შემსჭვალენ შენ კორცნი, წმიდაო სერგი, და მიერ აღიწიე სიყუარულსა მას უშიშსა წმიდათასა და მადლითა ღმრთისაათა განპბრწყინდი.

აღძრვაა ვნებათაა სიყრმითგანვე დასთრგუნე ფერკთა მათ ქუეშე სულისათა, ნეტარო, და სიტკბობაა საცნობელთა მლიქნელი, ყოვლად არა დაგიტკბა მოლოდებითა წარუალთა მათ ტკბილთა საშუებელთაათა, ღირსო მამაო სერგი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

წყაროა სულისა წმიდისაა გულსა შინა შენსა მოიგე, საიდუმლო სიბრძნისა და მადლისა სიმდიდრითა აღვსებულმან, მ, სამ-გზის სანატრელო მამაო სერგი, პატრივისმცემლნი შენნი იქსენ განსაცდელთაგან და მიჰმადლე კურნებაა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სული ჩემი დაცემული მრავალთა საღმობათაგან, მ, ღმრთისმშობელო ყოვლადღიებულო, განჰკურნე, რათა მადლობისა კმითა წადიერებით გადიდებდე შენ, მარადის.

გალობა 3, განძლიერდასა

ძლისპირი: ღმერთო, მოხედენ მონათა გალობასა და დაამდაბლე სიმაღლს მაცთურისა და ზესთა აღამაღლე დღეს ეკლესიასა, და შეუშფოთებულად დაამტკიცენი მოსავნი შენნი მართლმადიდებლობასა.

უსხეულოთა გუნდსა თანა აღმაღლდი, რაჟამს შრომათა ღუაწლი ეტლ-უყავ სულსა და აღიწიე საქმითა ხედვათა მიმართ მაღალთა, სანატრელო მამაო, და უხილავთა ხილვად ღირს იქმენ, წმიდაო სერგი.

იწურთიდ სიყრმითგან წიგნთა ღმრთივსუღიერთა და აღიწიე თავსა სრულებათასა, რაჟამს გონებად წმიდა-ყავ ვნებათაგან და სიწმიდითა სულისა შენისაათა ექმენ სავანე სულსა ყოვლად წმიდასა.

ქნარად სულისა ცხოველისა გამოსჩნდი, მორთულ ძალთაგან სულისაათა, ღირსო მამაო, და გამობრწყინდი ვარსკულავად უდაბნოასა და სიტყუათა საუნჯეს, ვითარცა ოქრო დააუნჯე შენ ღმრთისა ეკლესიასა, ნეტარო სერგი.

მარხვითა კორცნი შეზღუდენ, სანატრელო, და ვნებათა აღძრვანი მოაკუდინენ ლოცვითა და მღვიძარებითა, რომლისათვისცა სულისა წმიდისა ძალმან დაიმკვდრა შენ თანა და მნათობად ცისკიდეთა გამოგაჩინა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

რტო ნაყოფიერი იქმენ შენ, ღმერთშემოსილო, აღმოცენებულ ძირთაგან ღმრთისმსახურთა, და-რა-ენერგე თანა წარსადინელსა საღმრთოთა წერილთასა, და გამოიღე ნაყოფად ტკბილად გულის-კმის-ყოფად მათი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

წინამსწარ გიხილა შენ, ბჭედ ნათლისად ეხეკიელ, რომელი განვლო მეუფემან, ვითარცა უწყის, ქალწულო უხრწნელო, ამისთვის გევედრები მე, განმიხუენ სინანულისა ბჭენი მიმყვანებლნი სასუფეველად.

წარდგომა

განაბრწყინვე ჟამნი შენნი, სანატრელო, უდაბნოსა შინა ძლიერად მოღუაწებითა, რომლითა მიეახლე ბრწყინვალეობასა საღმრთოსა, მამაო სერგი, და მოტევებად ცოდვათა ჩუენთა ურიცხვთა ქრისტესს მიერ გუთხოვე მედღესასწაულეთა კსენებისა შენისათა.

გალობა 4, უფალო მესმასა

ძლისპირი: პირველ აუწყა წინამსწარმეტყუელებით ცხორებად კაცთა ამბაკუმ და იტყოდა: რისხვასა შინა მოვიქსენი წყალობად, ჩრდილოთ მადნართათ მო-რა-ა-ხუედ შენ, მაცხოარ, ერისა ამის სიტყუად დამბადებელი.

და-რა-ემკვიდრა შენ თანა მაღლი ღმრთისა, მოგაძულა შენ საწუთროასა დიდებად და შეიყვარე სიმაღლს და მოწყალება, რომლისა მიერ აღიწიე სიმაღლედ სასუფეველისა.

არა დაჰფარნა ღმერთმა შრომანი შენნი, არამედ ნიშთა და სასწაულთა მიერ განჰსთქუა ბრწყინვალებად მოღუაწებათა შენთა, და ყოველთა შორის საწადელ-ყო სიტყუად და ხილვად შენი, ღმრთივსანატრელო სერგი.

მი-რა-ა-ხვედი კევსა მას უვალსა და საშინელსა, განიხარე გონებითა ხილვად მისი, სერგი, სწორად სამოთხისა, ღირსო, და აღაშენე ლავრა ნებითა ღმრთისაათა და მას შინა განამრავლენ მსგავსნი შენნი, მამაო, ნების მყოფელნი ღმრთისანი.

იქმენ, ნეტარო, მიმსგავსებული ღმრთისა, მამად ობოლთა და საზრდელი მშვიერთად, სამოსელი შიშველთა და უღონოთა, და მკურნალ სენთა სნეულებისა, ნეტარო სერგი.

დიდება მამასა და ძისა და წმიდასა სულსა.

ლამპრად ბრწყინვალედ მყოფთათვის სოფლისათა გამოგაბრწყინვა ნათელმან მამისამან, და ელვარებად სათნობათა შენთა მიჰფინე ცისკიდეთა, ვითარცა მისისა შარავანდელი, ღირსო მამაო.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ქალწულმან ჰმევე და დედობრივ არა განიხრწენ, არამედ დედა იქმენ, და ქალწულადვე ჰგიე, რომლისათვისცა გიგალობთ, გიხაროდენ, ღმრთისმშობელო.

გალობა 5, ღამითგანსა

ძლისპირი: საცთურთა ბნელთა ღამისათა შენდობად მოხვედი შენ, ქრისტე, ამსთობილნი შევსწირავთ შენდა გალობასა, ვითარცა ღირს-ხარ, რათა წარმიძლუენ გზასა მშულობისასა, შესულად სასუფეველსა, რომელ აღმითქუ ჩუენ.

დაენერგე რაა სახლსა შინა ღმრთისასა, ადუყავდი სიმართლითა, და ვითარცა უდაბნოსა ზელა ნაძვი, ესრეთ განამრავლე სამწყსოა ქრისტესნი, ღირსად და სამართლად სიტყურნი ცხოვარნი და მნათობ სოფლისა იქმენ ჭეშმარიტებით.

ვითარცა ვარსკულავი გამოჰბრწყინდი უდაბნოსა შინა და რომელნი სარწმუნოებით მოივლტიან შენდა მსწრაფლ შეეწევი მათ, ამისთვის გნატრით შენ, და ვითარცა მკურვალესა შუამდგომელსა გალობით გადიდებთ.

ანგელოზთა თანა აღასრულე ჟამის წირვად ქუეყანასა ზელა და ანგელოზთა თანა პატივ-გცა შენ ქრისტემან, სერგი დიდებულო, და მოციქულთა და წმიდათა თანა აღგრაცხა.

ჰბრწყინევედ ზემთა ბუნებისა ელვარებითა, ყოვლად ქებულო, და პირისა შენისა სახე ანგელოზებრი, მადლთა აღმატებასა დაფარულსა სულსა შინა შენსა, ცხად-ჰყოფდა, ნეტარო სერგი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ეტრფიალე შენ სიბრძნესა, უდაბნოსმოყუარეო, და შეიყუარე იგი უფრომს ყოვლისა, რომლისათვისცა განისუენა შენ თანა, და ბაგეთა შენთა მიერ წყაროა მადლისაა აღმოაცენა თაფლისა უტკბილესი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

წმიდა-ყო ღმერთმა საშოა შენი ყოვლადწმიდაა, სძალო, სიწმიდით რაა დაემკვდრა მას შინა, და ჯუარსა ზელა ამაღლებულმან დაბადებულნი აღამაღლნა მისთანა.

გალობა 6, დაღადავსა

ძღისპირი: შთახდა იონა სიღრმესა მას ზღვსასა და დაღადაბდა ღმრთისა მიმართ ვედრებით: აღმოძიყვანე დანთქმისაგან, უფალო, ხოლო მე, ქრისტე, შენდა მიმართ ვლაღაღებ: უგულუბელს-ჰყავ ბრალთა ჩემთა სიმრავლს.

იხარებს მორწმუნეთა გულნი მართლმადიდებელთანი, საკვრველო სერგი, მიუწვთომელად აღვსებულო სულითა, რამეთუ პატიოსანთა საკმეველთა კეთილ-სულნელებამან აღავსო საყუდელი შენი, და სიხარულითა შეიწყნარე ღმრთისმშობელი.

დელისა ღმრთისა ცოცხლებრ მავალისა და იოანსსა და პეტრსს თანა სხეულებრივ მქცევისა მხილველად, გამოირჩიე უხრწნელისა კილობნისა მისგან ღმრთივშემწყნარებელისა, მრავალთა შორის მამათასა, სერგი, ღმრთივრჩეულო, ნუ დასცხრები, ღირსო, შემსხმელთა შენთათვის.

შესწირე ვედრებაა ჩუენი დელასა ღმრთისასა წინაშე ქრისტესსა, თანაშეწევნითა ზეცისა მხედრობათაათა და პეტრს და იოვანს მოციქულთაათა, სანატრელო მამაო სერგი, სოფლისათვის მშულობაა ითხოვე და სულთა ჩუენთათვის დიდი წყალობაა.

ნაცუალად ედემისა სამოთხედ განღებულად აქუს ლავრაა შენი ერსა შენსა და ღუარითა მით საშუებელთა მისთაათა უხუებითა აღვსებულნი, განათლდებიან და მადლსა შენსა ქადაგებენ კმა-მალლად.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ვნებათა დაფარულისა და ცხადთა მქლომისა ძლიერად მბრძოლო, სერგი სანატრელო, კადნიერებაა გაქუს ღმრთისა მიმართ, ითხოვე შეწევნაა, რაათა განვერნეთ მტერსა სულთა ჩუენთასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ახლად ყრმად გვშეგ ჩვენ უწინარესი საუკუნეთა უჟამოდ, მამისა თანა მოსაყდრე, ღმრთისმშობელო, რომელმან ჯუარისა მიერ ცოდუთა დაძულებული კაცნი განაახლნა და ღმრთიებასა იზიარნა.

კონდაკი, კმა 2

ქრისტესს სიყუარულითა მოწყლული მოსწრაფედ შეუდეგ კუალსა მისსა სურვილით, ღირსო, და ყოვლითურთ სრულიად მოიძულენ საწუთრომსა გემოვნებანი, და ვითარცა მზს გამოუბრწყინდი ქუეყანასა შენსა, ამისთვისცა შეგამკო ნათლითა სასწაულთაათა და მადლთა საღმრთოთა ბრწყინვალეებითა ქრისტემან ღმერთმან, აწ მოგუკსენენ პატივისმცემელნი ნათელშემოსილისა კსენებისა შენისანი, რომელნი გილაღაღებთ: გიხაროდენ, ღმრთივგანბრძობილო მამაო სერგი!

იკოსი

გესმა რაა კმაა სახარებისაა, მამაო, დაუტევე ნებაა კორცთაა, სიმდიდრს და დიდებაა და წარმავალი ესე არა რად შერაცხენ, ვითარცა უხორცომან იღუაწე და უხორცოთა თანა ჰსუფევე სასუფეველსა უკუნისამდე. მოღუაწებითა ნათლითა მადლი გონებისა გაქსნისაა და ყრმათა გულისკმისყოფისაა, ვითარცა სასყიდელი, ნიჭად მიიღე და დღესასწაულის მოყუარეთა წმიდისა კსენებისა შენისათა და მგალობელთა უხუად მოგუანიჭებ: გიხაროდენ, ღირსო სერგი,

ღმრთივმიმადლებულო, ზეცისა კაცო და ქუეყანისა ანგელოზო; გიხაროდენ, ლოცვითა გონება-გაქსნილო და ნიჭითა სულისა წმიდისაათა მიუწვთომელად აღვსილო; გიხაროდენ, რამეთუ წმიდაჲ სამებაჲ განადიდე, ვითარცა შობადმდე, ეგრეთცა ცხორებასა შინა და სიკუდილისა შემდგომადცა; გიხაროდენ, უბიწოებისა სუეტო, ყოველგარ ვნებათა დამორგუნველო; გიხაროდენ, რამეთუ სიყრმითგან შეუდეგ ქრისტესა; გიხაროდენ, შენდამი მოლტოლულთა ვნებულთა სულთა შემწყნარებელო; გიხაროდენ, ეკლესიისა ბრწყინვალეო ლამპარო, მრავალთა მონაზონთა ქრისტესს მიმართ მიმყუანებელო; გიხაროდენ, ქებაო და სიქადულო მამულისა შენისაო; გიხაროდენ, რამეთუ განათლებული ხედვედი რაჲ მომავალთა, ყოველსა ყოფადმდე იტყოდი უბიწოებითა საღმრთოათა; გიხაროდენ, ლოცვითა შენითა ქრისტესმოყუარისა მკედრობისა განმადლიერებელო; გიხაროდენ, ქრისტესს სახელის სადიდებლად ძალითა მალღისაათა ბრძოლათა უბრძოლველად დამარლუეველო, ეგრეთვე აწ დაიცვე მართლმადიდებელნი ერნი, რაჲთა გიგალობდეთ: გიხაროდენ, ღმრთივგანბრძნობილო სერგი!

გალობა 7, კურთხეულარსა

ძღისპირი: სიყუარულითა ყოველთა მკსნელისაათა არად შეჰრაცხეს ყრმათა რისხვაჲ მძლავრისა ღმრთის მოძულისაჲ, და ცეცხლსა შეთხეულნი არა შეიწუნეს და ესრეთ ღალადებდეს: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

ღღესასწაულობს ერი შენი, ნეტარო, კსენებასა შენსა და ღალადებს შენდა მომართ: მოგუხედენ, ჰ, მამაო სანატრელო, ზეცით-გარდამო და გუკსნენ სოფლისა ღელვათაგან დაუნთქმელად, რომელთა ესე გუასწავე გალობაჲ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

შეურაცხ-ყავ ყოველივე ამოებაჲ სოფლისაჲ, ღირსად დიდებულო, და ვითარცა თიხაჲ დასთრგუნე ცუდი დიდებაჲ, და სიგლახაკისა მიერ სიმდიდრს დაულევენელი სასუფეველისაჲ ჰპოვე ზეცათა შინა, მარადის მგალობელმან: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

გიხაროდენ, ღმრთისმეტყუელებისა წმიდისა წყარო, და სიბრძნისმოყუარებისა აღმომდინარეო ფიალო, ყოვლადბრძენო, დიდო მთიებო ყოვლისა სოფლისაო, რომელმან ასწავე ყოველთა გალობაჲ ესრეთ: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

არაჲ მაქვს სიტყვაჲ ღირსი სათნობათა შენთა ბრწყინვალეთა შემკობად, მამაო სანატრელო, არამედ შემნდობელ მექმენ უღირსსა ამას და შეიწირე კნინი და უძლური გალობაჲ და ნაცვლად მადლი შენი მომეც, ღირსო სერგი.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ემშაკთა გუნდნი აღსჭრენ, ღმერთშემოსილო, ვითარცა ახოვანმან მკედარმან მაცხოვრისამან შრომათა მახულითა, და დასწუნენ ცეცხლებრ ბანაკნი მათნი საკუმილითა ლოცუათა შენთაათა: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ-ხარ შენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მადლსა ლოცვისა შენისასა, წმიდაო, ვიქადებთ პირითა და სულითა, დიდებულო, რამეთუ შენ მიერ განსაცდელთაგან და ღელვათა, და მძიმეთა ურვათა, და ცოდვისა ვნებათაგან ვიქსნებით ყოველნი.

გალობა 8, აკურთხევდითსა

ძღისპირი: ყრმანი ბაბილონს შეუწველნი პირველად სახე გექმნეს შენ, ქალწულო დიდებულო, რაჟამს შენგან იშუა ცეცხლი ღმრთეებისაჲ და დაგიცვა შენ უვნებელად, უბიწოდ, ყოველი ერი მარადის გაკურთხევს შენ.

სამღელელოჲ კრებული და მწყობრი მორწმუნეთაჲ ერთბამად მოვედით ღღეს და საღმრთოათა ქებითა უგალობდეთ ბრძენსა და წმიდასა მამასა, სერგისა რადონეჟელსა, ქუეყანისა და ზეცისა შუენიერებასა, და გურგუნსა და ჭეშმარიტსა საღმრთოსა სიკეთესა.

ალაგთა საღმრთოთა, ქრისტესს მცნებათა გზასა, უბიწოდ ხვილოდე, სერგი, რამეთუ ანგელოზებრ იქცეოდე, ამისთვის გეჩვენა საკურთხეველსა შინა დიდებაჲ ღმრთისაჲ ნათლისაჲთ ცეცხლებრ, ვითარცა ელვაჲ, და მოგცა მადლი ხილვად შინაგანთა მათ დაფარულთა ვნებათა სულთა ცოდვილთა არა ღირსთა.

უსხეულოთა გუნდსა თანა აღმადლდი, რაჟამს შრომათა ღუაწლი ეტლ-უყავ სულსა და აღიწიე საქმითა ხედვათა მიმართ მალალთა, სანატრელო მამაო, და უხილავთა ხილვად ღირს იქმენ, ღირსო.

სიწმიდისა გურგუნითა, ვითარცა ღუაწლისა მძლს, გურგუნოსან-გყო ქრისტემან მეუფემან, სანატრელო მამაო სერგი, და წმიდა თავი შენი სამკაულითა თვალთშეუდგამითა განაშუენა.

მოგუხედე მადლით, ღმერთშემოსილო, და დააცხრვე აღძრვანი უხილავთა და ხილულთა ვნებათაჲ, ხოლო განსაცდელნი და ეშმაკთა კვეთებანი გარე წარგუხადე, მამაო სერგი.

ვაკურთხევთ მამასა და ძესა და წმიდასა, სულსა უფალსა.

შემოკრება-რამ გუნდი მოწაფეთა შენთა მიცულებასა შენსა, სანატრელო, სინარულითა აღივსე ხილვითა მათითა, და აკურთხე ყოველი, და სარწმუნოდ და ცხადად ასწავე გალობად ესრეთ: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფალსა და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იკსენ კაცობრივი ბუნებად წყევვისაგან შობითა შენითა, ქალწულო უბიწო, რამეთუ შეგ მხოლო კურთხეული, მაკურთხეველი ჩუენი, აღმავსებელი მადლითა ცათა და ქუეყანისა.

ვაქებთ, ვაკურთხევთ, თაყუანის-ვსცემთ უფალსა, უგალობთ და აღუამაღლებთ მას უკუნისამდე.

გალობა 9, აღიღებდითსა

ძლისპირი: ჯერ-არს ღუმილი, ვინამთგან ვერ შეუძლებთ ღირსებით ქებად შენდა დღეს, ღმრთისმშობელო, ხოლო არავე დავღუძნეთ შიშისათჳს, არამედ მსგავსად უძღურებისა ჩუენისა, შევსწიროთ შესკმად, რომლითა გადიდოთ შენ.

ვერ შემძლებელ-არს ენად კაცობრივი მითხრობად ღუაწლთა შენთა, წმიდაო სათნო ღმრთისაო, რამეთუ განვლე სოფელი ესე ღირსად, ნეტარო სერგი, და აწ შეუებას სამოთხისასა შეერთებული, ანგელოზთა თანა იხარებ, და ჰსუფევ ქრისტჳს თანა უკუნისამდე.

იოტებიან ეშმაკთა სიმრავლენი ტუალთა შენთაგან ყოვლად-პატიოსანთა, ვინაცა მათ მიერ ფრიად ვნებულმან სამარხოსა შენსა სარწმუნოებითა შეეხო რად, მყის ჰოვა თავისუფლება.

სარკედ ბრწყინვალედ აღწერით დაგვიტევა, „ცხორებად“ შენი მოწაფემან შენმან ეპიფანე ყოვლადბრძენმა და შთამხედველ გვყვნა ელვარებასა შენსა, რომლისა-იგი ზიარ იყო სულითა და მობაძავი შენდა სათნოებითა.

დიდო მეუდაბნოეო რადონეჟისა დიდებულთა უდაბნოთაო, აწცა ნუ დაიდუმებ მოღუაწებასა ჩუენთჳს ქრისტჳს მიმართ, რამეთუ ყოვლადვე ძალგიძს შეწვენად ყოველთა, რომელნი ლოცვათა შენთა ესუენ და მეოხებასა შენსა მოივლტიან.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ითხოვე, ღირსო, ყოვლისა სოფლისათჳს მშულობით დაცვა და ერსა ჩუენსა – ძლევა და დამტკიცება მართლმადიდებლობისა ქრისტჳს ღმრთისაგან, და სულთა ჩუენთა უხუად დიდი წყალობად.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

იტურთავ უკვე მტურთველსა ყოველთასა წმიდათა მიერ კელთა შენთა, რომელსა ევედრე, წმიდაო, უცხოდასაგან ბოროტის მოქმედებისა უვნებელად ცხორებად ჩუენდა.

განმანათლებელი

გამოხწნი შენ, ვითარცა სახს ბრწყინვალს და შეიწყნარე სული წმიდა, ღირსო მამაო, რომლისა მიერ თუალნი სულისანი ხილვითა საღმრთოთა განაბრწყინვენ, და განათლებული ხედველი რად მომავალთა, ყოველსა ყოფადმდე იტყოდი უბიწოებითა საღმრთოთა, ხოლო აწ მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, ღმრთივგანბრძნობილო სერგი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,

იხარებს მხარს რადონეჟისა და უფროდ განსცხრების აწ ლავრად წმიდისა სამებისა შენ შორის დამკვდრებისათჳს, რამეთუ მარადის ირწყევბოდა ცრემლთა მიერ შენთა, და აწ ტუალნი შენნი მდებარე არს მის შორის და მდიდრად აღმოაცენებს კურნებასა სულთა და კორცთასა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმშობლად ჭეშმარიტად აღვიარებთ შენ, დედოფალო, შენ მიერ ცხოვნებულნი, რამეთუ ღმერთი ჰშევ გამოუთქმელად დამკსნელ ჯუარითა სიკუდილისა და თჳსდა მიმართ მიმზიდველი ღირსთა კრებულისა, რომლისა თანა ვაქებთ შენ, ქალწულო.

აქებდითსა ზედა დასდებელი. მუხლი 4. კმად 8

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერგი, შენ უღელი ქრისტჳსი აღიღე ქედსა ზედა, და ახოვნებითა ზედა დასხმანი მტერთანი შეჰმუსრენ და უდაბნონი ქალაქად გამოაჩინენ, ამისთჳს განატრით შენ და სარწმუნოებითა გილადადებთ: ჰ, რუსეთის ეკლესიისა დიდებო, შენ ქრისტემან მკვდრ-გყო უსხეულოთა თანა, მეოხ-გუეყავ ჩუენ.

2-გზის

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერგი, სარწმუნოებით შემოკრებულნი მორწმუნენი, ვითარცა მოღუაწესა დიდსა პატივს-გცემთ შენ, და სარწმუნოებითა გილადადებთ: ჰ, წმიდასა ანტონს მიმსგავსებულო მეუდაბნოეო, რომელი სინარულითა განხუედ უდაბნოდ უაღად, და

მკეცთა-წილ დაამკედრენ კაცნი ანგელოზთა სწორნი, მეოხ-გუეყავ წინაშე ღმრთისა, რაათა გუაცხოვნენს გუაცხოვნენს ჩუენ.

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერგი, გამოსჩნდი შენ კანონ მონაზონთა და სიქადულ მართლმადიდებელთა, დამატკობელ და ბრწყინვალე მნათობ ყოვლისა სოფლისა და უძღურთა უგამოცდილეს და პატიოსან მკურნალ, რამეთუ არა შეშინდი შიშისაგან მაცთურისა მტერისა და მშვილდნი და ისარნი ეშმაკთანნი შემუსრენ და მძვნვარენი საფრკენი მათნი მოაუძღურენ საღმრთოათა სწავლითა შენითა. ზ, ნიჭთა შენთა მოცემულთა, ნეტარო, რომლისა მიერ ბოროტთა ეშმაკთა არცხვინე და განაბრწყინვენ დიდებაჲ ქრისტესი.

ღმერთშემოსილო მამაო, წმიდაო სერგი, დავიწყებისა მიზეზი არს სიკუდილი, ხოლო შემდგომად სიკუდილისა შენისა მაუწყებელ-არს მოღუაწებათაჲ აწ ლავრაჲ შენი და კმა მალლად ჰქადაგებს შრომათა შენთა, ხოლო ტაძარსა შენსა მოსრული ერი მოწოდებული, მორწმუნს, მოხარული კსენებასა შენსა განათლებულსა, წმიდაო, ღუაწლთა შენთა მიუთხრობს, სერგი, და კმითა მადლობისაჲთა თაყუანის-სცემს ღმერთსა.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

დავებროთ საყვრსა გალობათასა და განვსცხრებოდეთ და ვიშუებდეთ მოხარულნი ყოვლადწმიდასა შინა დღესასწაულსა ყოვლადქებულისა მოძღურისა ჩუენისასა. შემოკრებით ზ, მორწმუნენო და შესკმითა სულიერითა შევამკობდეთ და ვაქებდეთ სანატრელსა მამასა ჩუენსა, ვითარცა სწავლისა მდინარეთა აღმომდენთა ჩუენდა და უგალობდეთ: უძღურნი – სენთა მკურნალსა, ხოლო ჭირვეულნი – მქსნელსა, შეცოდებულნი – მკურვალესა მეოხსა, მწუხარენი – განმაცხრობელსა და მავალნი – მოგზაურსა, მენავენი – მმართებელსა და ყოველნი ყოვლით კერძო, ყოველთავე სასოსა სარწმუნოებით ვადიდებდეთ და ვიტყოდეთ: მეოხ-გუეყავ, ღმერთშემოსილო სერგი, რაათა ლოცვათა შენთა მიერითა თხოვითა შეგვჭურენს ჩუენ უფალმან ღმერთმან ძალითა თვისითა უძღვევლითა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩუენთა ზედა და გუაცხოვნენს ჩუენ.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღმრთისმშობლისა, დემეტრე ქართველთა მეფისა,

ბაგრატიონისა.

ღმრთისმშობელი და ყოვლადპატიოსანი,
დედაჲ ქალწული, შუენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი,
შენგან იშუების, მეფს გურგუნოსანი
და მას ჰმონებენ მეფენი მრავალყმოსანი.

დიდებაჲ მაღალი გრძლად და განტევებაჲ.

ლიტურგიასა ზედა: მომიკსენენი კანონისაგან ღირსისა, გალობა 3 და 6.

წარღვრება, კმაჲ 7. პატიოსან-არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა.

მუხლი. რაჲ მივაგო უფალსა ყოვლისავეთუს, რომელი ესე მომაგო მე.

სამოციქულო I კორინთელთა, თავი 12, მუხლი 7. (ძმანო, თითოეულსა ჩუენსა...) დასასრული, მუხლი 12. (კაცად-კაცადსა ვითარცა ჰნებავს...)

ალილუია, კმაჲ 6. ნეტარ-არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა.

მუხლი. ძლიერ იყოს ქუეყანასა ზედა ნათესავი მისი.

სახარება მათესი, თავი 11, მუხლი 27. (ჰრქუა უფალმან თვისთა მოწაფეთა...) დასასრული, თავი 12, მუხლი 1. (ტურთი ჩემი სუბუქ-არს...)

ბანიცადე: საკსენებლად საუკუნოდ.